THE RELIGIOUS PHILOSOPHY OF AKAKI TSERETELI IN THE POEM „REGRET OF A SINNER“

რელიგიური მსოფლმხედველობა აკაკი წერეთლის ლექსში „ცოდვილის სინანული“

Dali Betkhoshvili
Doctor of Philosophy,
Associated Professor of Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Rustavelis st. 116, 0800 Georgia,
+995555488129, dali.betkhoshvili@yahoo.com
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

Abstract. The poetry of Akaki Tsereteli is not limited only by one problem, he puts up more than one problem in each work, highlighting the wide range of vision of the author, related to the problems of both earthy and eternal life, demonstrating the depth of Akaki's conceptual view.

The poem " Regret of a sinner" has the great place in the poetry of Akaki Tsereteli, discussing the depth of God from the spiritual prospective, the truth of the virtue which will take place in the earthy life, where the sin and evil are ruling.. in order to avoid the sin, it is necessary to understand by a human what is wrong in the earthy life and go towards the truth. The poem by Akaki Tsereteli is the proof for it.

When the reader introduces with the poem "The Regret of a sinner" first of all the biblical philosophy of the poet is noticable. Akaki Tsereteli teaches the human to remember the teaching of the God, the love towards Him defining existance of the world, the kindness and evil, overcoming of the sin, what is achieved through love to the God, through following his teaching and fulfilment of virtues. The poem "Regret of a sinner" demonstrates that the earthy life is false, treacherous, evil and full of sins… but, at the same time, he understands the sins and has the desire to return to God for asking pardon. The sin always accompanied to the earthy life, it is the only test for a human, it demonstrates the way of distinguishing kindness and evil, makes to look at own spiritual world, supporting to understand the sin, it is the most important step towards the regret, mixed with the tears and prayer. The regret prepares the way to the kindness, make sinner perfect what is possible only through divine deeds.

The grief of Akaki is hidden in every artistic word, first of all, it is divine, which is made by the human living on the earth with its modest lifestyle, as Akaki was the messenger of the God on this world to announce about the kindness. In order to fulfil this mission, the regret helps him, as it supports him in approximation to the God, to the hope, it helps people to change their lives into spiritual, their gradual rise from the earth. The way moving towards the God is a narrow path, full of grief and danger, where you need to go carefully not to miss the way towards the God.

Akaki Tsereteli by the poem "The Regret of the Sinner" connects the transient world to the eternal one, between a human and God, evil and kindness, as this linkage produces the idea of the life. Such stage of life makes the life of a human interesting in this world.

Key words: Akaki Tsereteli, "Regret of the Sinner", transient world, the virtue of God, sin and life.

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 116, 0800, საქართველო
+995555488129, dali.betkhoshvili@yahoo.com
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

აბსტრაქტი. აკაკი წერეთლის პოეზია მარტო ერთი საკითხით არ იფარგლება, თითოეულ ნაწარმოებში ერთზე მეტი პრობლემაა წამოჭრილი, რაც ავტორის უსაზღვრო მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს გამოკვეთს, რომელიც ეხება როგორც ამქვეყნიურ საკითხებს, ისე სულიერს, რადგან წუთისოფლის პრობლემები სულიერ საფარველშია მოქცეული და ისე ხდება მათი გააზრება, ეს კი აკაკის პოეზიის ღრმა იდეურობაზე მეტყვე;ლებს.

აკაკი წერეთლის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსს „ცოდვილის სინანული“, რომელშიც სულიერი თვალით იხილვება ღმერთის წიაღი, მისი სათნოებების ჭეშმარიტება, რაც უნდა განხორციელდეს წუთისოფელში, სადაც ცოდვა, ბოროტება გამეფებულა... ცოდვისაგან თავდასაღწევად კი საჭიროა ადამიანის მიერ გაცნობიერება არასწორი გზისა წუთისოფელში და სიცოცხლის წარმართვა სახიერებისაკენ, რისი დამადასტურებელიცაა აკაკის აღნიშნული ლექსი.

საანალიზო ლექსთან ზიარებისას, პირველ რიგში, ბიბლიური მსოფლმხედველობა იჩენს თავს. აკაკი წერეთელი თავისი ლექსით „ცოდვილის სინანული“ ადამიანს ასწავლის ხსოვნებას ღმერთის მცნებებისა, მისი სიყვარულისა, რომელიც განსაზღვრავს წუთისოფლის არსებობას, მის სიავკარგეს, სიკეთეს და ბოროტებას, ცოდვის დაძლევის გზას, რაც მიიღწევა ღმერთის სიყვარულით, მის მცნებებითა და სათნოებების აღსრულებით. აღნიშნულ ლექსში „ცოდვილის სინანული“ ნაჩვენებია ცრუ სოფლის მატყუარობა, სივერაგე, სიბოროტე, ცოდვები... მაგრამ, ამავე დროს, შეიგრძნობა ცოდვების გაცნობიერებაც და სურვილი სიკეთისაკენ მიბრუნებისათვის ღმერთს შესთხოვოს შენდობა. ცოდვა ამქვეყნიური ცხოვრების თანამდევია, იგი ერთ-ერთი გამოცდაა ადამიანისთვის, უჩვენებს სიკეთე-ბოროტების გარჩევის გზას, თვალს მიაპყრობინებს საკუთარი სულიერი სამყაროსაკენ, რომელიც ეხმარება ცოდვის შეგრძნებასა და გაცნობიერებაში, ეს კი მნიშვნელოვანი საფეხურია სინანულისა, ცრემლისა და ლოცვისაგან რომ არის შეერთებული. სინანული ამზადებს გზას სიკეთისაკენ, სრულყოფს ცოდვითმოსილი ადამიანის არსებობას, რომლის გამართლება მხოლოდ საღვთო ღვაწლითაა შესაძლებელი.

აკაკის ურვა მიმალულია მის თითოეულ მხატვრულ სიტყვაში, რომელიც, უპირველესად, საღვთოა ამქვეყნად, წუთისოფელში ხორციელად მოღვაწე ადამიანისაგან გაღებული, თავმდაბლობით რომ არის გაჯერებული, რადგან თვით აკაკი იყო ღმერთის მოციქული ამ ქვეყნად სიკეთის გასაცხადებლად. ამ მისიის განხორციელებაში სინანულია შემწე, იმედიანი გზა მიმყვანი ღმერთთან მისაახლებლად, ეს გზა აღბეჭდავს ადამიანის სულიერი სამყაროს ცვლილებას, თანდათანობით ამაღლებს მიწიერებაზე. ღმერთისაკენ მიმავალი გზა ვიწრო ბილიკივითაა, ჭირით და განსაცდელით სავსე, სადაც სიფრთხილით უნდა იარო, რათა არ გადაუხვიო უფლის მასაზრდოებელ გზას.

აკაკი წერეთელი ლექსით „ცოდვილის სინანული“ კავშირს ამყარებს წუთისოფელსა და ზესთასოფელს, ადამიანსა და ღმერთს შორის, ბოროტებასა და სიკეთეს შორის, რადგან ეს კავშირი სრულყოფს სიცოცხლის არსს. ასეთი სიცოცხლის საფეხურზე მყოფი ადამიანი საინტერესოს ხდის თავის მყოფობას ამ წუთისოფელში.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, „ცოდვილის სინანული“, წუთისოფელი, ღმერთის სათნოება, ცოდვა, სიცოცხლე.

შესავალი: ნაშრომში გაანალიზებულია აკაკი წერეთლის ლექსი „ცოდვილის სინანული“, რომელიც განხილულია ბიბლიური მსოფლმხედველობის მიხედვით, რადგან ვერც ერთი ამქვეყნიური პრობლემა მასთან განუშორებლად ვერ გაიაზრება, მხოლოდ სახიერ ღმერთთან, მის მცნებებეთან ზიარებით არის შესაძლებელი ნათელი მოეფინოს აკაკის მხატვრულ ნააზრევს. ამდენად, ნაშრომის მიზანია კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს აკაკი წერეთლის მხატვრული აზროვნების თავისებურებანი, ნაჩვენები იქნას ის პრობლემები, რაც ფართოდ აისახა პოეტის შემოქმედებაში, გამოიკვეთოს ის საფიქრალი, რომელიც ასაზრდოებდა აკაკის მთელ მხატვრულ აზროვნებას, მის მსოფლმხედველობას; აკაკი წერეთლის პოეზია ნათლის მომფენია ბნელით მოცული მე-19 საუკუნის ადამიანის არსებობაში და უჩვენებს იმედიან გზას, საღვთო შინაარსით რომ არის აღვსილი.

მეთოდი. რადგან საკვლევი საკითხი ღრმაა და მრავალასპექტიანი, ცალმხრივი კვლევა ვერ შეძლებს საკითხის ნათლად წარმოდგენას, პოეტის სულიერი ცხოვრების წარმოჩენას, ამიტომ გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს ბიბლიურ, ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, ნათლად გამოკვეთს ავტორის სათქმელს, მის მსოფლმხედველობას, ნაწარმოების სახისმეტყველებით გააზრებას. ყოველივე ამის გარეშე ვერ მიიღწევა საკითხის მეცნიერული გამოკვლევა.

შედეგები და მსჯელობა. აკაკი წერეთლის ლირიკის ამგვარი კვლევა წარმოაჩენს ეროვნული მწერლობის ღირებულებას და მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის განუკვეთელ ერთიანობას წინარე ეპოქათა მხატვრულ აზროვნებასთან, აგრეთვე აჩვენებს მის მნიშვნელობას მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებაში და სახავს სამომავლო განვითარების პერსპექტივასაც; აკაკი წერეთლის ლირიკის ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, ეპოქის ღრმა სულისკვეთებას, მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, აგრეთვე იკვეთება ისიც, რომ ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის აზროვნების სივრცეში.

აკაკი წერეთლის პოეზია მარტო ერთი საკითხით არ იფარგლება, თითოეულ ნაწარმოებში ერთზე მეტი პრობლემაა წამოჭრილი, რაც ავტორის უსაზღვრო მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს გამოკვეთს, რომელიც ეხება როგორც ამქვეყნიურ საკითხებს, ისე სულიერს, რადგან წუთისოფლის პრობლემები სულიერ საფარველშია მოქცეული და ისე ხდება მათი გააზრება, ეს კი აკაკის პოეზიის ღრმა იდეურობაზე მეტყველებს.

აკაკის ლექსის წარმატებათა საიდუმლო შესანიშნავად ამოიცნო და ახსნა დიდმა ქართველმა მწერალმა და პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც აკაკის პოეზია გამჭვირვალე მორევს შეადარა: „იმ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თითოეულის კენჭს ადვილად დასთვლი...“ (წერეთელი, 1988: 7-8).

„აკაკი წერეთელს უდიდესი მისია დააკისრა მისმა ეპოქამ: ყოფილიყო მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე გასული საუკუნის (მე-19 საუკუნის - დ. ბ.) „გარემოების საყვირი“, ქართველი ხალხის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი ეროვნული და სოციალური იდეალების გამომხატველი. აკაკი თავისი უბადლო პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებებით, მწვავე პუბლიცისტიკით, პირადი ცხოვრების წესით

აფხიზლებდა ქართველ ხალხს, უნერგავდა ნათელი მომავლის რწმენას. „ისტორიულმა მსვლელობამ დაგვიმტკიცა, რომ ეს პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელს და გასაჭირს გაუძლებს“, - წერდა აკაკი (წერეთელი, 1988: 8).

„ცხოვრებამ კარგა ხანია დაამტკიცა დიდი ილიას მისნური სიტყვების სიმართლე. რაც დრო გადის, მეტი შუქი ემატება აკაკი წერეთლის ნათელ სახეს. მადლიერმა ქართველმა ერმა გაუნელებელი სიყვარულით შემოსა სამშობლოსათვის სანთლად აკიაფებული აკაკის სახელი, რომელიც სისხლხორცეულად შეენივთა საქართველოს ეროვნულობის ცნებას... დიდი ილიას თქმით: „შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“ (წერეთელი, 1988: 5).

ჩემი აზრით, მის შემოქმედებას უკვდავებას სძენს რელიგიური მსოფლმხედველობა, რომლის გარეშე აკაკის ნაწერების გააზრება წარმოუდგენელია. თქმულის დამადასტურებელია მთელი მისი შემოქმედება და აქედან ამჯერად განსახილველი ლექსი „ცოდვილის სინანული“.

აკაკი მინდიაშვილის აღნიშვნით, „აკაკის მსოფლმხედველობას სწავლობდნენ ყველა ასპექტით,… გარდა - რელიგიურისა, მაშინ, როდესაც ის ძირითადი სარკმელი, საიდანაც აკაკი ჭვრეტს და შეიმეცნებს სამყაროს (როგორც რეალურს, ისე - მხატვრულს) - ბიბლიური, ქრისტიანული მოძღვრებაა!“ (მინდიაშვილი, 2003: 137).

აკაკი წერეთლის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსს „ცოდვილის სინანული“, რომელშიც სულიერი თვალით იხილვება ღმერთის წიაღი, მისი სათნოებების ჭეშმარიტება, რაც უნდა განხორციელდეს წუთისოფელში, სადაც ცოდვა, ბოროტება გამეფებულა... ცოდვისაგან თავდასაღწევად კი საჭიროა ადამიანის მიერ გაცნობიერება არასწორი გზისა წუთისოფელში და სიცოცხლის წარმართვა სახიერებისაკენ, რისი დამადასტურებელიცაა აკაკის აღნიშნული ლექსი. წმიდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „...ვითარ შენდობაჲ ცოდვათაჲ მხოლოჲსა ღმრთისაჲ არს“ (შდრ.: მარკ. 2, 7; ლუკა, 5, 21). „შეუნდობს უკუე ცოდვათა ღმერთი მამაჲ და აღიღებს ცოდვათა სოფლისათა ძჱ ღმერთი (შდრ.: იოან. 1, 29; I იოან. 3, 5) და განსწმედს ცოდვათაგან სული წმიდაჲ ღმერთი...“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, 2006: 36).

ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით, ცოდვის არსი ასეა გადმოცემული: „შინაგანი წინააღმდეგობა ღმრთისადმი, აქედან - ღმრთისთვის თავის არიდება, ხელის შეშლა, მტრობა“ (I იოან. 3, 4; იერ. 2, 13; I იოან. 2, 15-16; 2 ტიმ. 4, 10; ფილლიპ. 3, 19; რომ. 1, 23; 2 თეს. 2, 4; მათ. 15, 19; რომ. 14, 23; ფს. 9, 18-25; I თეს. 4, 5; რომ. 8, 7; ფს. 2, 3; ეფ. 4, 18 (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 338). „ცოდვას ეწოდება სიკვდილის საწერტელი“ (I კორ. 15, 56). „ყოველივე, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14, 23). „ცოდვა შემოვიდა ქვეყნად ადამის მიერ“ (დაბ. 3, 6-12; I ტიმ. 2, 14); „ყოველი ადამიანი არის ცოდვილი“ (3 მეფ. 8, 46; 2 ნეშტ. 6, 36;... ეკლ. 7, 21; რომ. 3, 10-12, 33; I იოან. 1, 8; 5, 19) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 339). საღვთო სიბრძნის სწავლებით, „გამოსავალი კი ცოდვითი მდგომარეობიდან განხორციელებულია ქრისტეს ცხოვრებითა და აღსრულებით“ (იოან. 1, 29; მათ. 26, 28; რომ. 3, 25-26; 2 კორ. 5, 21; კოლას. 2, 14) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 339).

პავლე მოციქულის ერთ-ერთ ეპისტოლეში რომაელთა მიერ გაცხადებულია: „ვითარცა - იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა ცოდვისა ძალით სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“ (რომ. 5, 12). იოანე მახარებელმა კი ბრძანა: „კაცი ესე ცოდვილ არს“ (იოან. 9, 24). მაშასადამე, წმიდა წერილი გვმოძღვრავს, რომ სიკვდილი ცოდვის შედეგად გაჩნდა, რასაც გვიდასტურებს გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბიკო: „ცოდვა არს კეთილთაგან მიდრეკა“ (კუკავა, 1988: 102).

„ცოდვა (+12, 31 მათე) ავის ქმნა (+2 კორინთ. 5, 21). ბოროტი, გინა უსჯულოება“ (ორბელიანი, 1993: 340).

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით: „ცოდვა“ – „ბრალეულება“, „ბრალის-ქმნა“, ‘ბრალი“, „დანაშაული“, მაგ., „განდგომით ვცოდეთ წინაშე უფლისა“ (ისუნ. 22, 22); „რაჟამს ცოდა და ბრალი ქმნა“ (ლევიტ. 51, 5); „დაღათუ ვცოდო, შენნივე ვართ“ (სიბრძნე სოლომონისა, 15, 2); „რომელი ცოდავნ, მან სულსა თჳსსა ავნის“ (ზირ. 19, 4); „კაცი ესე ცოდვილ არს“ (იოან. 9, 24). იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „შემვედრა მე კაცი, ცოდვილი და გლახაკი ესე“ (იაკობ ცურტაველი, 1979).

„ცოდვა: მორწმუნეებში - ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990: 539).

„ცოდვილი“ კი ასეა განმარტებული: „ცოდვილი (7, 37 ლუკა) ცოდვის მოქმედი. ცოდვილი ეწოდების ქრისტიანესა შემცოდესა, ხოლო უშჯულო (უსჯულო) წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა, რომელთა არა იციან ცოდვა, თუ რაჲ არს“ (ორბელიანი, 1993: 340).

„ძე შეცთომილი“ (ლუკა, 15, 11-32).

იოანე ოქროპირის თქმით, „ფრიად ვცოდავთ, ძმანო ჩემნო, საყუარელნო, ყოვლადვე გონებათა, სიტყვითა და საქმითა, და ესე უწოდეთ ჭეშმარიტად“ (მამათა სწავლანი, 1955: 4). ამიტომაც „მონანიებაა ერთადერთი გზა ხსნისა და ეს მონანიება ყოველთვის და ყოველგვარ ფორმაში უნდა გამოვლინდეს... სინანული მსგავს არს კაცსა სნეულსა სიკუდილ მიახლებულსა, რომელმან მოუწოდის მკურნალსა ხელოვანსა და მოძღუარსა და მეცნიერებით განკურნოს და უხარინ.

სინანული მსგავს არს უძლურსა ქუე მდებარესა, რომელი განმრთელდის სენისაგან და აღსუბუქნის ვითარცა მფრინველი.

მოვისწრაფოთ, საყუარელნო, სინანულად ქველის საქმითა“ და ბოლოს უფალს მიმართავს: „აწ, უფალო, შეგივრდები შენ ვედრებით, მასწავე მე სინანული!“ (მამათა სწავლანი, 1955: 167).

ეფრემ ასურის სწავლებით „...საფუძველ სინანულისა არს სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ“. (მამათა სწავლანი, 1955: 297).

როგორც განმარტებებიდან და წმიდა მამათა ნააზრევიდან ჩანს, პირველ რიგში, ცოდვილია ადამიანი, როდესაც ურწმუნოა, საღვთო გზით არ მიდის ამ წუთისოფელში და მისი სიბრძნის გამზიარებელი არ არის, შემდეგ კი მოიცავს ყოველივე უკეთურს, სიკეთისაგან გადახრილს, რაც ჩვეულებრივ ახლავს ადამიანის ცხოვრებას წუთისოფელში პირველადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვის შემდეგ.

ცოდვის დაძლევა და სიკეთის გზაზე სლვა ღმრთის შიშით, ღმერთის წყალობით, მისგან გაღებული კეთილი ნებით მოხდება: „შიში ღმრთისა არს „ცხოვრების წყარო“ (იგავ. 14, 27); ბასილი კესარიელის დამოძღვრით: „... ხოლო შიში ღმრთისაჲ არს სიწმიდესა თანა. მაშინ უკუეთუ დასაჯო შენ ცოდვაჲ იგი და მისცე ძლევაჲ სიწმიდესა, გიქმნიეს საშჯელი სიმართლისაჲ“ (ბასილი კესარიელი, 1964: 131).

წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის სწავლებით: „ღმერთი კაცთმოყვარეა და ცოდვებით დამძიმებულ ადამიანსაც გამოიყვანს შეჭირვებული მდგომარეობიდან“ და ლოცვის მეშვეობით, რომელიც სინანულს შეიცავს, სიხარულს მოუვლენს მას: „ეს სიხარული სიკვდილს დასცინის და მას ჯოჯოხეთი ვერ მოერევა, რადგან ამგვარი ცხოვრება მარადიული და უსასრულოა“ (წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, 1990: 162).

ცოდვა აგრეთვე დაიძლევა სინანულის აღსრულებით: „სინანული“ (+3, 8 ლუკა) ესე არს ცოდვის ქმნისათვის მწუხარება და ვაება, ხოლო შენანება საკანონოს(ა) გარდაჴდა“ (ორბელიანი, 1993: 91).

ბიბლიის მიხედვით, „სიტყვა „სინანული“, მონანიება, არის სრული უკუქცევა ბოროტებისგან და მთელი გულით დაბრუნება ღმერთთან, რომელიც ამას მოითხოვს ყველასაგან, ვინც მას დასცილდა“ (მათ. 3, 2. - იოანე ნათლისმცემლის მოწოდება. 4, 17. - მარკ. 2, 17; 6, 12; იერ. 18, 11; ეს. 44, 22; 2, პეტ. 3, 9); „თვით ღმერთი გვინერგავს სინანულის სურვილს და მივყავართ მისკენ“ (საქმე. 5, 31; 11, 18; 2 ტიმ. 2, 25) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 168). „ჭეშმარიტი სინანულის ნიშნები: წრფელი ურვა ცოდვების გამო - ცოდვილი ქალი. ლუკ. 7, 37-38; შეცთომილი ძე. ლუკ. 15, 21. პეტრე უარყოფის შემდეგ) (მათ. 26, 75) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 168); ბიბლიის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, „სინანულს უნდა ახლდეს თავმდაბლობა, გულწრფელი მწუხარება, ცოდვათა აღიარება, მოქცევა, ლოცვა, სარწმუნოება, ცოდვის სიძულვილი...“ (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 169); „ღვთისმიერი მწუხარება, სინანულსა შეიქმს“ (2 კორ. 7, 10); „ღმერთს სურს, ყველამ მოინანიოს“ (ეზეკ. 18, 23-32; 33, 11; 2 პეტ. 3, 9) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 170).

წმიდა იოანე ოქროპირის სწავლებით: „ჰე, ძმანო, ჩემნო, გევედრები თქუენ, რაჲთა მოსწრაფე იყვნეთ დაცვად სულთა თქუენთა და იღუაწოთ საქმჱ კეთილისაჲ, რაჲთა არა იპოვნეთ სულელთა მათ თანა და წარსწყმდეთ. არამედ იქმოდეთ კეთილსა პირველ სიკუდილისა მოწევნამდე“ (მამათა სწავლანი, 1955: 95). აქვე მოვიშველიებ ერთ ადგილს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ღმერთის მიერ რჩეული სერაპიონ ზარზმელი, რომელსაც უნდა აღესრულებინა უდიდესი სულიერი მისია, ღრმად აცნობიერებს ადამიანის ცოდვითმოსილებას და საჭიროებას ხედავს ადამიანის სულიერ გზაზე შედგომისა: „- ჩვენ, ჰოჲ საყვარელნო, დაღაცათუ ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი და გვრწამს ქრისტე ღმერთი, ჩვენისა ცხორებისათვის განკაცებული, და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდათათვის განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ არას ვიტყვით გარეგან ჭეშმარიტებისა...“ (ბასილ ზარზმელი, 1987: 648).

ყველა ადამიანი რომ ცოდვილია, წმიდა სერაპიონ ზარზმელის სიტყვებიც გვიდასტურებს: „... დაღაცათუ ცოდვილ ვართ“ (ბასილ ზარზმელი, 1987: 648). კიდევ: „უფალო იესუ, ძეო ღმრთისა მამისაო, რომელი მოხვედ სოფლად მოძიებად შეცთომილთა!“ (ბასილ ზარზმელი, 1987: 667).

თვით ბასილ ზარზმელის, როგორც მოძღვრის ამქვეყნიური ღვაწლი შეფასებულია, როგორც ადამიანთა ცოდვების შემამსუბუქებელი მეოხება: „... ჰოჲ მამაო მამათაო, დიდო მოღვაწეო ყოველთაო, ვითარცა-იგი პირველ ჩვენსა, ეგრეთვე შემდგომითი შემდგომად აწცა ჩვენ - უძლურთა და უღირსთა, შვილად შენდა სახელდებულთა, ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარეუკუნაქცევ მეოხებად და ღვწად განმზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთაჲსა“ (ბასილ ზარზმელი, 1987: 680).

ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში წმინდანის ღვაწლი დანარჩენთა ცოდვების შემსუბუქების, ხსნად არის გააზრებული: „... ჰოჲ მამაო მამათაო, დიდო მოღვაწეო ყოველთაო, ვითარცა-იგი პირველ ჩვენსა, ეგრეთვე შემდგომითი შემდგომად. აწცა ჩვენ - უძლურთა და უღირსთა, შვილად შენდა სახელდებულთა, ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარეუკუნაქცევ მეოხებად და ღვწად განმზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთაჲსა...“ (ბასილ ზარზმელი, 1987: 680).

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმიდა გრიგოლ ხანძთელი ასე შეგვახსენებს ცოდვითმოსილებას და უფლის მიერ საკუთარი ჯვარცმით ადამიანის გამოხსნას: „- ქრისტე ღმერთო, რომელი კაცთმოყვარებისათვის განჰკაცენ და ივნე ვნებულთა განკურნებისათვის აწ, უფალო მოწყალეო...“ (გიორგი მერჩულე, 1987: 593).

ცოდვით დაცემის შედეგად „ადამიანი სიკვდილისათვის განწირულია. „რამეთუ მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბ. 3, 19), ეუბნება ღმერთი ადამს. იმის ნაცვლად, რომ სიცოცხლე მიეღო, როგორც ღვთაებრივი საჩუქარი, ადამმა მოინდომა თვითონ განეგო თავისი სიცოცხლე და გამხდარიყო ღმერთი, შეჭამა რა აკრძალული ნაყოფი. ამ

დაუმორჩილებლობის გამო ადამიანმა დაარღვია კავშირი ცხოვრების წყაროსთან. ამ დარღვევის გარეშე სიკვდილი იქნებოდა მხოლოდ უბრალო გადასვლა ღმერთში. ახლა კი არაა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენა, - იგი საბედისწერო გახდა; იგი ნიშნავს სასჯელს, მარადიულ სიკვდილს“ (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 247-248).

„იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშვინველად ცხოვლად, ხოლო უკანასკნელი ადამ სულად განმაცხოველებლად“ (დაბ. 2, 7; I კორ. 15, 45) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 242). კაცად წამება მიმანიშნებელია იმ სურვილისა, რომ კვლავ ღმერთის დახმარებით დაიბრუნოს ღმერთის ხატება და მსგავსება, ის პირველსახე უცოდველობისა, რომელიც ჰქონდა ცოდვითდაცემამდე; „კაცი შექმნა, შეიქნა ხატად ღმრთისა“. დაბ. 1, 26-27; I კორ. 11, 7; „მსგავსად ღმრთისა“. დაბ. 1, 26; იაკ. 3, 9 (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 242).

ბიბლიის მიხედვით, „ცოდვილი ადამი დაჩაგრულად გრძნობდა თავს ტანჯვათა მიზეზით, ღმრთის ძე კი „ესე გუემულებათა ჩვენთა იტვირთავს და ჩუენ ძლით ლმობილ არს“ (ეს. 53, 4). მეტიც, ის, ვისაც უნდა ემეუფა ცოცხალ ქმნილებებზე, თვით დაემსგავსა მათ. „ყოველთა კაცთა უმეტეს“ (ეს. 52, 14). „იგი მატლია და არა კაცი“ (ფს. 21, 7) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 249).

VIII საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ წმიდა ჰაბო, სხვა მრავალ სახე-სიმბოლოებთან ერთად, მოხსენიებულია მატლის სახე-სიმბოლოთი: „მატლ ეწოდა, რამეთუ თქვა: „მატლ ვარ და არა კაც“, გამობრწყინვებითა ღმრთეებისაჲთა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრეთ ხორცთა შინა თვისთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თვისი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთააგდო და აღმოთქვა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათვისცა იტყვის: „შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭედურითა და განუღო დანდალი ყბასა მისსა და ხარტუკი ცხვირსა მისსა“. ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა, და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათვის წამებს მეფსალმუნე დავით: „შენ შეჰმუსრნე თავები ვეშაპისაჲ მის“ (იოვანე საბანისძე, 1987: 449) .

აკაკი წერეთელი თავისი ლექსით „ცოდვილის სინანული“ ადამიანს ასწავლის ხსოვნებას ღმერთის მცნებებისა, მისი სიყვარულისა, რომელიც განსაზღვრავს წუთისოფლის არსებობას, მის სიავკარგეს, სიკეთეს და ბოროტებას, ცოდვის დაძლევის გზას, რაც მიიღწევა ღმერთის სიყვარულით, მის მცნებებითა და სათნოებების აღსრულებით: „რომელსა ჰნებავნ შემოდგომაჲ ჩემდა, უარ-ყავნ თავი თჳსი, აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე; და რომელსა უნდეს განრიდებად სული თჳსი, წარიწყმიდოს თავი თჳსი, და რომელმან წარიწყმიდოს ჩემთჳს, მან ჰპოვოს იგი“ (მათე, 16, 24-25) (ახალი აღთქუმაჲ, 2009).

წმიდა ეფრემის სწავლებით: „ამისთჳს წინაჲსწარვე გიჩუენა ღმერთმან გზაჲ იგი იწროჲ და საჭირველი, რაჲთა მის მიერ შეხვიდე შენ ცხორებასა მას საუკუნესა“ (მამათა სწავლანი, 1955: 302).

„ცოდვების შემგრძნობი და მტვირთველი პიროვნება მის ზეკაცურ სრულყოფილებაზე მიგვანიშნებს, სულიერი სიმაღლის ისეთი მიჯნის მიღწევას, როდესაც პიროვნულიდან ზოგადადამიანურამდე აღზევდება კაცი“ (თვარაძე, 1987: 45).

„ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად, სასჯელიც ღვთიური მზრუნველობის ერთ-ერთი გამოვლენაა. ადამიანებმა უნდა მოასწრონ სულის ხსნა ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საუკუნო განსაცდელში ჩავარდებიან. ამიტომაც სურს ღმერთს, სასჯელის მეშვეობით მიახვედროს ადამიანები შეცდომას, რათა მათ დროულად შეინანონ! სინანულია შეწყნარების საწინდარი...“ (ფრუიძე, 1999: 123).

„საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სიწმინდისთვის ზრუნვაა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულებში გავამეფოთ“ (ილია II, 2011: 6).

„სინანული უდიდესი საიდუმლოა. იგი მსჭვალავს მთელ „ახალ აღთქმას“. იოანე ნათლისმცემელი არის პირველი მქადაგებელი ქრისტიანული სინანულისა. მას წმინდა მამები ასეც უწოდებენ: „ქადაგი სინანულისა“. ნათლისმცემელი წინ უსწრებს იესო ქრისტეს, რათა მოუწოდოს ხალხს, განამზადონ გზანი უფლისა. იოანე ოქროპირის განმარტებით, იუდეველნი ამ დროს ცოდვის ტყვეობაში იყვნენ, თუმცა ვერ გრძნობდნენ ამას და თავიანთ თავს უბიწო, მართალ ადამიანებად მიიჩნევდნენ. და აი, მოდის იოანე ნათლისმცემელი, რათა ებრაელებს თვალი აუხილოს ცოდვებზე, რადგან საკუთარ სულიერ მანკიერებათა შეუცნობლობა მათ ჭეშმარიტების გზიდან განაგდებდა. ნათლისმცემლის მოვლინების მიზანი ის იყო, რომ ხალხს თავისი ცოდვები შეეცნო და სინანულისაკენ მიდრეკილიყო, მაგრამ ამ ცოდვათა გამო ადამიანები კი არ უნდა დასჯილიყვნენ, არამედ მონანიების გზით უნდა შეეძინათ თავმდაბლობა, განესაჯათ საკუთარი თავი და მიეღოთ შეწყალება. შინანულს უნდა მოჰყვეს თვალის ახელა, ძველი გზიდან გადადგომა და ნათლისღების ძალით ჭეშმარიტებაზე მოქცევა. სინანულს ქადაგებს თვით მაცხოვარიც: „შეინანეთ“ - ეს არა უბრალო მიმართვაა, რომელიც ადამიანმა შეიძლება შეასრულოს ან არ შეასრულოს, არამედ აუცილებელი, გარდაუვალი მოთხოვნა მათთვის, ვინც მზადაა აღიაროს იგი ერთადერთ და უტყუარ ჭეშმარიტებად, დათმოს, რაც აქამდე იყო და ყველაფერი თავიდან დაიწყოს“ (კალანდარიშვილი, 2011: 332).

არ შეიძლება არ გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის შედევრი „გალობანი სინანულისანი“, სადაც გადმოცემულია ადამიანის, პიროვნების, სახელმწიფო მოღვაწის მიერ ცოდვილი ბუნების აღიარება, არა მარტო პირადი, არამედ ზოგადსაკაცობრიო ცოდვების ტკივილი, რომელსაც საზღვარი აღარ აქვს და გოდების ხასიათი აქვს მიცემული:

„ბოროტად გარდავჰქედ საზღვართა
და შევრჰრთე სახლი სახლსა / და აგარაკი აგარაკსა,
და უუძლურესთ / მივჰხუეჭე ნაწილი მათი, /
და ვიღუწიდ უმეზობლობასა, /
და ვითარმცა მარტოჲ ვმკჯდრობდი ქუეყანასა ზედა.
მბრძოლ ვექმენ ყოველთა / წესთა შჯულისა შენისათა...“ (დავით აღმაშენებელი, 1993: 38-39).

დავით მეფე გოდებს, როგორც ცოდვილი ადამის მემკვიდრე: „... ხოლო, მე ვნებათა ბილწთა / მონად მივყიდე თავი, / რამეთუ „რომლისგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“. (დავით აღმაშენებელი, 1993: 32) (შდრ.: II პეტრე, 2, 19). „... მილხინე, ჶ, მეუფეო, მილხინე/ და ნუ წარმწყმედ ცოდვითა შინა“ (შდრ.: ფს. 27, 3).

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში და, მათ შორის, აღნიშნულ ლექსში „ცოდვილის სინანული“ ნაჩვენებია ცრუ სოფლის მატყუარობა, სივერაგე, სიბოროტე, ცოდვები... მაგრამ, ამავე დროს, შეიგრძნობა ცოდვების გაცნობიერებაც და სურვილი სიკეთისაკენ მიბრუნებისათვის ღმერთს შესთხოვოს შენდობა. სანამ ამ საკითხებს გავაანალიზებთ განსახილველი ლექსის მიხედვით, მანამდე მოვიშველიოთ აკაკის სხვა სტრიქონებიც.

აკაკი წერეთლის ისტორიულ ხუთმოქმედებიან დრამატულ პოემაში „თამარ ცბიერი“ დედოფალი აცნობიერებს თავის ცოდვებს და სიკვდილის წინ აღმოხდება:

„შემცოდე ცის და ქვეყნის წინაშე
შენდობას ვითხოვ მაგდალინელი“ (წერეთელი, 1977: 323).
„შენდობა მისი ნებისად მიმადლება“ (ორბელიანი, 1993: 291).

აკაკი წერეთლის ხუთმოქმედებიან ისტორიულ დრამაში „პატარა კახი“ ორი პერსონაჟის _ ქალის და მწყემსის საუბრებში ყურადღება გამახვილებულია ცოდვის პრობლემაზე, რაც გადაჯაჭვულია სიყვარულთან, რომლისთვისაც ისინი არანაირ დაბრკოლებას არ სცნობენ, შეიძლება იცრუონ კიდეც, განსაკუთრებით ქალი, რომელიც

ბრმა მამას გზას აურევს იმისათვის, რომ მწყემსს შეხვდეს. შეხვედრის სცენაზე ასე ჟღერს მწყემსის სიტყვები:

„...
მაგნაირ ცოდვას ზეცაც არ გიწყენს...
თავდები არის თვით სიყვარული“ (წერეთელი, 1980: 435).

სიყვარულით გაჯერებული კეთილი საქმით ღვაწლი ადამიანის სულს ასპეტაკებს და საღვთო გზისაკენ წარმართავს (პოემა „თორნიკე ერისთავი“):

„საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული!...
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი!“ (წერეთელი, 1980: 321).

ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ თორნიკე ერისთავი კათალიკოსთან საუბარში, კათალიკოსი თხოვს რა ბერის სამოსი კვლავ გაიხადოს, ჯარს უწინამძღვროს და ამგვარად ჩაერთოს ქვეყნის ცხოვრებაში, აღნიშნავს ადამიანის არსების ცოდვითმატარებლობას:

_ „ვითა რეგვენი, ღირსი არა ვარ,
ბატონო, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ რა ვქნა, რომ მეც საპასუხოდ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?
და კიდევ გკადრებთ: ლოცვა კარია
ცოდვილისათვის სინანულისა
და მარტოობა სადმე უდაბნოდ -
გასპეტაკება მადლით სულისა“ (წერეთელი, 1980: 320).

სანამ ამ საკითხზე გავაგრძელებ საუბარს, მინდა მოვიშველიო რ. თვარაძის შეხედულება, რომელიც გამოთქმული აქვს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებზე მსჯელობისას. რ. თვარაძის აღნიშვნით, „ახალი დროის ტენდენციები გარდა დასახელებული ნაწარმოებებისა, კიდევ მეტად იჩენს თავს „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (XI ს-ის 40-იანი წლები) და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ (XI ს-ის 60-იანი წლები). როგორც ექვთიმეს, ისე გიორგის ბერული ჩოხა გარეგნული საფარველია მხოლოდ. სინამდვილეში ორივე ნაწარმოები მოგვითხრობს ერის კულტურისათვის თავგადადებულ, უაღრესად აქტიურ და ქმედით მოღვაწეთა თავგადასავალს. მონაზონნი იქნებოდნენ ისინი თუ ერისკაცნი, ამით არსებითად არაფერი შეიცვლებოდა. არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა, როგორ გარემოში გამოვლინდებოდა მათს სულში მობობოქრე გრიგოლო - ჩვეულებრივს ყოფაში, თუ მონაზვნურში, რომელიც უკვე საგრძნობლად იყო დაახლოებული საერისკაცო ცხოვრებას“ (თვარაძე, 1987: 27-28).

ეს ქვეყანა, წუთისოფელი, ადამიანი რომ ცოდვით სავსეა, ნათლადაა გაცხადებული აკაკის მიერ ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“, კერძოდ, კათალიკოსის თხოვნაზე, რა გადაწყვეტილება მიიღო, თორნიკე ერისთავმა უპასუხა:

„ვერ გავტეხ აღთქმას!.. ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი“ (წერეთელი, 1980: 318).

ცოდვილი სულის გათავისუფლება ღმერთის კურთხევით, სონანულით და მასთან დაკავშირებული ცრემლითაა შესაძლებელი. „კურთხევა (128, 8 ფსალ.) არს გადიდება სახელისა მისისა, გინა ლოცვისა მიღება, გინა განცხადება, გინა მიახლება ღ˜თისა, გინა მოახლება ღ˜თისა მიერ“ (ორბელიანი, 1991: 398).

„ცრემლი (+იერ. 9, 1) თვალის წყალი“ (ორბელიანი 1993: 341). „წყალი განწმენდის, ხელახალი დაბადების ნათლისღებაა, საშუალებაა, ე. ი. ცრემლსაც იგივე სულიერი

ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგრამ, ამავე დროს, იგი მეტია, ცრემლში სინანულიც არის ჩატეული, რამეთუ სინანულს ყოველთვის ახლავს განწმენდა ცრემლი“ (ბეთხოშვილი, 2010: 27).

თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ცრემლის არსი შენდობითაა გადმოცემული:

„კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა“ (27, 1) (თეიმურაზ პირველი 1934: 129).

„შენდობა“ _ მისი ნებისად მიმადლება“ (ორბელიანი, 1993: 291). მაშასადამე, ცრემლის დახმარებით სინანულის განცდა ძლიერდება, ღმერთიც უფრო აპატიებს ცოდვებს და შეუნდობს. შენდობა კი სულის საზრდოა, მაცოცხლებელი ძალაა, ღმერთისაგან თანაშეწევნით ბოძებული.

უცოდველი ამ ქვეყნად არავინაა, რადგან თვით „ადამიანი“ მოიცავს ამ შინაარსს, რადგან სწორი გზიდან გადაცდომა ადამმა მთელ კაცობრიობას დაუდო სათავედ:

„მაგრამ ადამის სისხლმა კი
ჩვენი ცხოვრება არია“ („თორნიკე ერისთავი“) (წერეთელი, 1980: 297-298).

ცოდვა ამქვეყნიური ცხოვრების თანამდევია, იგი ერთ-ერთი გამოცდაა ადამიანისთვის, უჩვენებს სიკეთე-ბოროტების გარჩევის გზას, თვალს მიაპყრობინებს საკუთარი სულიერი სამყაროსაკენ, რომელიც ეხმარება ცოდვის შეგრძნებასა და გაცნობიერებაში, ეს კი მნიშვნელოვანი საფეხურია სინანულისა, ცრემლისა და ლოცვისაგან რომ არის შეერთებული. ხუთმოქმედებიან ისტორიულ დრამაში „პატარა კახი“ აკაკი წერეთელი ქვეყნის ბედის ფიქრით შეპყრობილი პერსონაჟ გელას სიტყვით გადმოსცემს:

„არა, უფალი სულ არ გასწირავს
ღვთისმშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!
მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება
მან იგულისხმოს და შეინანოს!...“ (წერეთელი, 1980: 474).

საკითხის ნათელყოფისათვის საჭიროდ მიმაჩნია სრულად დავიმოწმოთ ლექსი „ცოდვილის სინანული“:

„სოფლის ღელვისგან აღტაცებულმან,
გადავსცდი მცნებას, გცოდე, მამაო!
და ვაი! დღეს სცნო ბოროტმა სულმან
სოფელი ესე ცრუ და ამაო!

ვგრძნობ, სახიერო! ეს ბოროტება
გამოუთქმელი და საშინელი,
თუმც სხვათ ბოროტთა აღემატება,
მაგრამ შენდობას მაინც მოველი!

რადგან ზეცავ, შენ, აჰა, მოგმართე,
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!
კეთილისათვის გზა წარმიმართე,
ძალ-მეც, ვსთრგუნვიდე ბოროტსა სულსა!

შენანებულს შენ არ მოიძაგებ
ნუგეში ამით მე მემატება!
და სულგრძელებას შენსას ვადიდებ,
ოდეს მეზვერე გამახსენდება“ (წერეთელი, 1980: 40).

დამოწმებულ ლექსში, რომელიც ძალიან ახალგაზრდა აკაკიმ დაწერა (დაწერილია 1859 წ. 22 მკათათვე, პეტერბურგი), ცხოვრებაგამობრძმედილი, გამოცდილი ადამიანის, წუთისოფლის სიავ-კარგის, ადამიანის ცხოვრების არსის ღრმა წვდომა და გააზრება-გაცნობიერებაა ჩადებული. მასში ავტორმა წუთისოფლის ცხოვრების, ადამიანის ხვედრის პრობლემა მთელი ფილოსოფიური, რელიგიური მსოფლმხედველობის წვდომით გაიაზრა, ფაქტობრივად, დასახელებულ ლექსში გადმოცემულია შემდეგი საკითხები: წუთისოფლის პრობლემა - სიკეთე-ბოროტების მონაცვლეობით, სოფლის ამაოება, რაც კარგად ჩანს მისსავე ლექსში „ამაოება“ შეცოდების, ცოდვით დაცემის საკითხი, რაც ბიბლიური მცნებების არ შესრულებიდან, დავიწყებიდან იწყება და ამ ფონზე გულმხურვალე ვედრებაა გამოხატული შემოქმედი ღმერთის წინაშე; „ევედრებიან ღმერთს, რომ იცნონ მისი ნება და მისი გზები“ (ფს. 5, 8; 24, 4-5; 26, 11; 85, 11; 118, 26-33; 142, 10). ვედრება, ლოცვის მსგავსი, მოიცავს ბოროტის გაცნობიერებას, რომელიც ღმერთის შეცნობიდან იწყება, ღმერთის შეცნობა ნიშნავს: „ღმრთისგან შობას“ (I იოან. 4, 7; კოლას. 3, 10) (ახალი აღთქუმაჲ, 2009) და თავის თვალსა და გულისყურს სახიერისაკენ მიაპყრობს, რადგან მიაჩნია, რომ ღმერთისაგან შენდობას მიიღებს, მიუხედავად მძიმე შეცოდებისა; ზეციურისადმი მიმართვა ამაო კი არ არის, არამედ პოეტის მხრიდან გათავისებული და გასიგრძეგანებულია, რადგან უკვე სინანულს გამოხატავს, რაც ცოდვათა გაცნობიერების შედეგია... სინანული კი მოიცავს ცრემლს და ლოცვას, ამ შემთხვევაში სავედრებელს ღმერთისადმი გამოხატულს, შეეწიოს იმ ძალის მინიჭებაში, რომელიც დაეხმარება დასძლიოს ბოროტი და კეთილისაკენ წარემართოს გზა. ამ გზაზე შედგომა კი ღმერთის შეცნობიდან იწყება: „ღმრთის შეცნობის ძიება შეადგენს ადამიანის სიცოცხლის მიზანს“ (საქმე. 17, 26-27; ეკლ. 12, 15) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 311). „შეცნობა ღმრთისა ღმრთის შიშით იწყება“ (იგავ. 1, 7; 2, 5; 9, 10) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 311). აკაკი სიკეთის მთესველი პოეტია და იმედს იტოვებს სინანულში მყოფს ღმერთი თანადაუდგება, შეეწევა, რადგან ღმერთი სიყვარულია, სულგრძელია, რისი მეშვეობითაც მეზვერეც კი იქნა შენდობილი, ამის გამო იმედით იმოსება და ნუგეში ეძლევა.

საანალიზო ლექსით მოცემული სიკეთე-ბოროტების დაპირისპირება „ამა“ ცხოვრების თანამდევი რეალობაა - სიკეთე ღმერთისაგან შობილი არსი, ბოროტება კი - ადამიანის ცოდვების შედეგად დამკვიდრებული წარმავალ წუთისოფელში, მაგრამ როგორც წუთისოფელია წარმავალი და დასრულებადი, ასევე ბოროტებაც არსს მოკლებული და დასრულებადია.

ბიბლიის მიხედვით, „ღმერთი უცხადებს ადამიანებს მათ ცოდვებს“ (იობ. 36, 9; ფს. 49, 16-21; 1 კორ. 11, 32) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 344); „მიწა დაწყევლილი იყო ცოდვის გამო“ (დაბ. 17-18).

ცოდვა - კეთილის დავიწყებად და მისგან დაშორებად მოიაზრება: ხოლო „ცოდვა არს კეთილთაგან მიდრეკა“, ნათქვამია გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბიკოში (კუკავა, 1988: 102).

წმიდა მამა იოანე ოქროპირის დამოძღვრით: „ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ უწყოდენ რამეთუ აღუგზნიეს სულისა თჳსისათჳს ცეცხლი იგი საუკუნოჲ უშრეტი. უკუეთუ არა აქუნდეს მას მდინარე ცრემლთაჲ, რამეთუ ცრემლთა მდინარე დაშრეტს საჴუმილსა ცეცხლისასა და ცოდვასა აგზებულსა გუამსა შინა კაცისასა, ვითარცაღა - იგი წამალმან, კეთილად შემზადებულმან მკურნალისა მიერ ჴელოვნისა, დაჰჴსნის სენთა სიმძაფრე, რომელ არნ გუამსა შინა სნეულისასა და დასულიბნის ძარღუნი, რაჲთა განეგოს ტკივილი. ეგრეთვე უწყოდეთ, რამეთუ ცრემლნი გამოვლენ სინედლისაგან გუამისა მოზიდვითა თუალთაჲთა ნაწევართაგან ყოველთა, რაჲთა განაბნინეს ცოდვანი, რომელ დაფარულ არიან გუამსა შინა კაცისასა“ (მამათა სწავლანი, 1955: 61-62).

წმიდა იოანე ოქროპირის დამოძღვრით: „იმის გამო კი ნუ იწუხებთ, თუ რა ცოდვები ჩაიდინეთ, არამედ იმის გამო იწუხეთ თუ რატომ არ ინანიებთ“ (წმ. იოანე ოქროპირი, 1990).

მინდა დავიმოწმო ერთი სტროფი უდიდესი მოღვაწის ვახტანგ VI –ის ლექსიდან „სიტყვა სანათლისღებო“:

„სიბრძნე მსურს, მწვრთნელი არა მყავს, მაშ რა ვქნა როგორ ვიშოო?

მრავლის ცოდვისა მოქმედი, ან წმინდათ როგორ ვიშოო?

მისი საკვრელი მიჭირებს, მჭირდება, რითღა ვიშოო?

მიხს სინანული ვიძიო, თვალთ ცრემლი მიწყივ ვიშოო“ (ვახტანგ VI, 1947: 68).

ვახტანგ VI-ის აზრით, ადამიანმა ცოდვების მოსახსნელად უნდა მოიძიოს სინანული და მასთან დაკავშირებული ცრემლი ჰღვაროს, თანაც სანამ დროა და არ არის დაგვიანებული. ცოდვის წამლად სინანულს მიიჩნევს, სინანულამდე კი ადამიანს ლოცვა მიიყვანს. წმიდა იოანე ოქროპირის დამოძღვრით: „...ლოცვითა განახლდების გონებაჲ კაცისაჲ გულისჴმის _ ყოფად სივრცესა ცისასა“ (მამათა სწავლანი, 1955: 12).

ლოცვა, ფაქტობრივად, სინანულამდე მიმყვანი უცილობელი გზაა, რომელიც აღბეჭდავს ადამიანის სულიერი სამყაროს ცვლილებას, თანდათანობით ამაღლებას მიწიერებაზე და ღმერთთან მიახლოებას უზრუნველჰყოფს. ღმერთისაკენ მიმავალი გზა ვიწრო ბილიკივითაა, ჭირით და განსაცდელით სავსე, სადაც სიფრთხილით უნდა იარო, რათა არ გადაუხვიო უფლის მასაზრდოებელ გზას.

ცოდვების მონანიებით აკაკი წერეთელი ცდილობს სიკვდილის დათრგუნვას, სიკვდილის სასჯელისაგან გათავისუფლებას, რადგან ბიბლიიდან ცნობილია, რომ: „სიკვდილი არის ცოდვის მისაგებელი“ (რომ. 6, 23); „სიკვდილი არის სასჯელი ცოდვისათვის“ (ფს. 91, 7; ეს. 66, 24; იერ. 31, 30; ეზეკ. 18, 4-18; რომ. 1, 32; 2 თეს. 1, 9; 2 პეტ. 3, 7; გამოცხ. 21, 8) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 346).

„თავისი ჯვარცმით და აღდგომით ქრისტემ დასაჯა ბნელი მაცდური ადამისი უფსკრულთა შინა (გამოცხ. 20, 1), საიდანაც აღმოიყვანა და იხსნა მან კაცთა მოდგმა შეუმსუბუქა მას პირველცოდვის ტვირთი, ახოცა ვნებანი და ცოდვანი სოფლისანი, განაქარვა და ნათელყო ბნელისა ან ეშმაკისა საცთური ვეშაპის ანუ გველის მოკვლით“ (იობ. 26, 12-13; უძველესი იადგარი, 1980: 466,384, 311, 328; 39, 69, 400, 479) (ბეთხოშვილი, 2012: 65).

აკაკის მხრიდან ჩანს უდიდესი ბიბლიური ცოდნა ღმრთის სულგრძელობის შესახებ. ბიბლიის მიხედვით, „სულგრძელობა ღმრთისა გამოიხატება „იმით, რომ ღმერთი აყოვნებს თავის რისხვას“ (ფს. 77, 38; ეს. 48, 9; ოს. 11, 9). (ბიბლიის ლექსიკონი, II 2000: 203) „სულგრძელობა ღმრთისა გამოიხატება „ცოდვილების მიმართ“ (ეკლ. 8, 12; რომ. 9, 22; 1 პეტ. 3, 20; 2 პეტ. 3, 9) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 204).

ადამიანმაც შესაბამისად უნდა იბრძოლოს ღმერთის მსგავსების და ხატების დასაბრუნებლად, რის მიღწევაშიც ადამიანს, მოკვდავს თანაშეეწევა ღმერთის სიყვარული, რომელიც წარმოშობს გულის სიწმინდეს. სიყვარულის მოპოვება და ადამიანში მკვიდრობა ღმერთის შეცნობიდან, მისი უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარე ხდება: „შეცნობა ღმრთისა ღმრთის შიშით იწყებ“ (იგავ. 1, 7; 2, 5; 9, 10) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 311).

სიყვარული ცოდვითმოსილ ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, სიწმინდეს უბრუნებს და ასულიერებს; ლექსში „ქებათა ქება“ აკაკი წერს:

„შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის

კავშირო და თან შუამავალო!“ (წერეთელი, 1980: 140).

გულის სიწმინდის, სულის სიწრფელისათვის სწორედ ღმერთის სიყვარული არის საჭირო, რომელიც აკაკის ყოველ ნაწარმოებში, მის ყოველ მხატვრულ სიტყვაში ჩანს პირდაპირ თუ ქვეტექსტებში, რითაც პოეტი სულს იბრუნებს და იმშვიდებს; „არარაჲ

სხუაჲ დავიდვე გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გარნა იესო ქრისტე და ესეცა ჯვარცმული“ (I კორ. 2, 2) (ახალი აღთქუმაჲ, 2009); ღმერთის, მისი სიყვარულის შეცნობა: „ამართლებს ცოდვილს“ (ეს. 53, 1) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 311).

ღვთის სიტყვა მოვიდა, მოევლინა ამქვეყნად, მოვიდა როგორც ხორცშესხმული, განხორციელებული და ისე დამკვიდრდა მოკვდავთა შორის ამ წარმავლობაში, რათა უკეთესად მიმხვდარიყო ადამიანი ღმერთის მისიასაც _ მისგან ცოდვათაგან დახსნას და მეტად ერწმუნათ ხორციელი სიკვდილის არამდგრადობა, დროებითობა და ეცნოთ ნამდვილი ჭეშმარიტი არსებობის, მეორე, სულიერი სიცოცხლის არსი. ნამდვილი, ჭეშმარიტი, სულიერი ცხოვრების მოპოვება ღმერთის სიყვარულით არის შესაძლებელი: „რამეთუ შიშმან უფლისამან შესძინის დღეთა“ (იგავ. 10, 27); იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „სრულმან სიყუარულმან შიში განდევნოსო“ (იოან. 4, 18).

„ესე უწყით, რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს-ეცუა, რაჲთა განქარდეს ჴორცი იგი ცოდვისაჲ, რაჲთა არღარა ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდვასა, რამეთუ რომელი-იგი მოკუდა, განმართლებულ არს ცოდვისაგან. უკუეთუ მოვკუდეთ ქრისტეს თანა, გურწამს, რამეთუ, მის თანაცა ვცხონდეთ“ (რომ. 6, 6-8).

„რაჲთა ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, ღმერთმან დიდებისამან, მოგცეს თქუენ სული სიბრძნისა და გამოცხადებისაჲ მეცნიერებითა მისითა... და რაჲ-იგი არს გარდამეტებული სიმდიდრე ძლიერებისა მისისაჲ ჩუენდა მომართ მორწმუნეთა შეწევნისაებრ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა, რომელ ქმნა ქრისტეს თანა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და დასუა მარჯუენით მისა ზეცათა შინა“... „და თქუენცა, რომელნი-ეგე მკუდარ იყვენით ბრალითა და ცოდვითა თქუენითა“ (ეფეს. მიმართ. 2, 1).

პოემაში „თორნიკე ერისთავი“ აკაკი აღნიშნავს:

„სიტყვაა მხოლოდ წამალი
გულისთქმის, ურვილისაო!“ (წერეთელი, 1980: 301).

კიდევ იმავე პოემაში ვკითხულობთ:

„ნუთუ შენ, მართლა რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?“ (წერეთელი, 1980: 320).

აკაკის ურვა მიმალულია მისი ერთი შეხედვით ლაღ პოეზიაში, მაგრამ, სწორედ იქ მეტადაა საგულვებელი სიტყვათა სიძლიერე თავისი სათქმელის თვალსაზრისით, რომელიც, უპირველესად, საღვთოა ამქვეყნად, წუთისოფელში ხორციელად მოღვაწე ადამიანისაგან გაღებული, თავმდაბლობით რომ არის გაჯერებული, რადგან თვით აკაკი იყო ღმერთის მოციქული ამ ქვეყნად სიკეთის გასაცხადებლად; თავისი თავმდაბლობა, უფლის წინაშე ქედის მოდრეკა მისთვის სამაგალითო მოქმედებაა, რასაც აქვიტკირებს მის მიერ წარსული დიდებული ისტორიული პიროვნებების მოხსენიება მათი ბრძნული შეხედულებების მოშველიებით. აკაკი საკუთარ მოთხრობაში „სიკვდილი“ დავით აღმაშენებელს შემდეგ ფრაზას წარმოათქმევინებს ქართველთათვის სამაგალითოდ: „-თავმდაბლობა გმირთა ბუნებაა“ (წერეთელი, 1980: 590).

თავმდაბლობა სიწმინდიდან, ღვთისმოსავობიდან, ღრმა რწმენიდან მომდინარეობს, ეს კი ღმერთის შეცნობიდან, მისი სიყვარულიდან იღებს სათავეს. „რომელსა უყვარს ღმერთი, იგი ცნობილ არს მის მიერ“ (I კორ. 8, 3; გალ. 4, 9) (ახალი აღთქუმაჲ, 2009); ბიბლიიდან ცნობილია შემდეგი სწავლება: მორწმუნენი უნდა „ეძებდნენ ღმრთის შეცნობას“. I ნეშტ. 16, 11; 22, 19; 28, 9; ფს. 104, 4; ეს. 55, 6 (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 311). მორწმუნეებმა „იციან ღმრთის სიყვარული“. რომ. 5, 8-10; ეფეს. 2, 4; I იოან. 3, 1, 4, 16; „იციან ღმრთის სიკეთე“. ფს. 30, 21; 134, 3; I პეტრე, 2, 3 (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 312).

ეკლესიის მამები შეგვახსენებენ, რომ „დამდაბლდი ღმრთის წინაშე, ანუ კეთილგონიერი ავაზაკის მსგავსად თქვი მთელი გულით: „სამართლად ღირსი, რომელი ვქმენ მომეგების მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (ლუკ. 23, 41-42). ნუ მიემსგავსები მეორე ავაზაკს, რომელიც ყველაფერზე დრტვინავდა, ილანძღებოდა და თავის ტანჯვაში სხვებს ადანაშაულებდა და ამით მხოლოდ დაიმძიმა თავისი მდგომარეობა და დაიღუპა. ხოლო კეთილგონიერმა ავაზაკმა შეიგნო თავისი დანაშაული, თავი დაიმდაბლა, უფალს მიმართა და მიიღო ნუგეში მწუხარების შემსუბუქება და ტანჯვისგან მალე გათავისუფლებისა და სამოთხეში მარადიული ნეტარების სიხარული. „დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“ (ლუკ. 23, 41), ვკითხულობთ სახარებაში. უფალი გარკვევით გვეუბნება: „ისწავლეთ ჩემგან, რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“ (მათ. 11, 29) (ბეთხოშვილი, 2010: 161).

იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული წმიდა ჰაბოს სარწმუნოებრივი ღვაწლი ჰაგიოგრაფმა ავტორმა ასე შეაქო: „შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე“ (იოვანე საბანისძე, 1987: 470).

უბრალო იყო მონანული მეზვერის სიტყვები: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას“ (ლუკა, 18, 13).

„სიმდაბლე“ (+29, 15 ეზეკ.) გული აღუზვა(ვ)ებელი და შემუსრვილი“ (ორბელიანი, 1993: 89).

აკაკი წერეთლის პოეზია ადამიანს ამაღლებს ღვთაებრივობამდე, რადგან თვით აკაკის პოეზია არის ღვთაებრივობით სავსე და სიკეთის მატარებელი. ლექსში „კურთხევა“ პოეტი წერს:

„ამმაღლებელი ხალხისა
თვით ამაღლდება ცათამდე“ (წერეთელი, 1980).

აკაკი წერეთლის მიერ ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე წარმოთქმული სიტყვების სიდიადე: „გამოჩენილი კაცები იმით უფრო არიან შესანიშნავნი, რომ მათი, არა თუ სიცოცხლე, სიკვდილიც კი სამოძღვრო და საგულისხმოა ქვეყნისათვის“ (წერეთელი, 1988: 510). აკაკის სიცოცხლეც ასე შეგვიძლია შევაფასოთ... აკაკის შემოქმედების ღვაწლი ადამიანის წუთისოფლის სიცოცხლეზე აღმატებულია, რამეთუ ეხმარება მოკვდავს არსებობის მრავალჟამიერ აღსრულებაში.

დასკვნა. აკაკი წერეთლის პოეზიაში ამქვეყნიური საკითხები გააზრებულია ბიბლიური მსოფლმხედველობის ჭრილში, რადგან წუთისოფლის ცხოვრების თანამდევი ცოდვითდაცემის პრობლემის გააზრება ღმერთის სათნოებებისაგან, მისი მცნებების აღსრულებისაგან განუყოფლად შეუძლებელია. აკაკის ლექსი „ცოდვილის სინანული“ თავისი სიღრმისეული სათქმელით ნათლად წარმოაჩენს შემოქმედის, ცალკეული ადამიანის და ეპოქის სულისკვეთებას, ლექსში დაფარული შრეები ტვირთულობს სიცოცხლის ორივე განზომილების - მიწიერ-ღვთაებრივის არსს, რომლის გააზრების გარეშე ადამიანის არსებობის გამართლება შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახალი აღთქუმაჲ, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. (2009). დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს_პატრიარქის კურთხევით. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. ალილო.

ბასილ ზარზმელი. (1987). სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. წიგნში: *ქართული მწერლობა.* ოცდაათ ტომად. ტ. I. თბილისი: ნაკადული.

ბასილი კესარიელი. (1964). *ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათჳს“ და „კაცისა აგებულებისათჳს“.* ძველი ქართული თარგმანები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი.

ბეთხოშვილი, დ. (2010). *სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“).* ტ. I. თბილისი: უნივერსალი.

ბეთხოშვილი, დ. (2012). *სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“).* ტ. II. თბილისი: უნივერსალი.

ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). (2000)ა. ტ. I. შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედ., ზ. სარჯველაძე. თბილისი.

ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). (2000)ბ. ტ. II. შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედ., ზ. სარჯველაძე. თბილისი.

გიორგი მერჩულე. (1987). გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება. წიგნში: *ქართული მწერლობა.* ოცდაათ ტომად. ტ. I. თბილისი: ნაკადული.

წმ. გრიგოლ ნოსელი. (2006). *მამაო ჩვენოს განმარტება. სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ „მამაო ჩუენოისაჲ.* ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ეკატერინე ქირიამ. ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი.

დავით აღმაშენებელი. (1993). *გალობანი სინანულისანი.* რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი.

ვახტანგ VI. (1947). *ლექსები და პოემები.* ალ. ბარამიძის რედაქციით. თბილისი: მეცნიერება.

თვარაძე, რ. (1987). მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული. შესავალი. წიგნში: *ქართული მწერლობა.* ოცდაათ ტომად. ტ. I. თბილისი: ნაკადული.

თეიმურაზ პირველი. (1934). *თხზულებათა სრული კრებული.* ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: ფედერაცია.

იაკობ ცურტაველი (1979). *წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ. თბილისი.

ილია II (2011). *საღდგომო ეპისტოლე.* საქართველოს საპატრიარქო. თბილისი.

წმ. იოანე ოქროპირი (1990). სინანულის შესახებ. წიგნში: *სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა.* ტ. I. თბილისი.

იოვანე საბანისძე. (1987). ჰაბოს წამება. წიგნში: *ქართული მწერლობა.* ოცდაათ ტომად. ტ. I. თბილისი: ნაკადული.

კალანდარიშვილი, ე. (2011). ბიბლიური პარადიგმატიკისა და სახისმეტყველების თავისებურებანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. *ვაჟა-ფშაველა 150. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს.* ნაწილი II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა.

კუკავა, თ. (1988). *ეფრემ მცირის იამბიკოები.* თბილისი.

მამათა სწავლანი. (1955). X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. ილია აბულაძის გამოცემა. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: მეცნიერება.

მინდიაშვილი, ა. (2003). *ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში.* თბილისი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული.* ტ. 2. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია

აბულაძემ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: მერანი.

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული.* ტ. 1. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: მერანი.

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. (1990). სინანულისა და ლოცვის შესახებ. წიგნში: *სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა.* წიგნი I. თბილისი.

ფრუიძე, ნ. (1999). *აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკისა და მხატვრული სტრუქტურისათვის.* თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1990). რედ. არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი. თბილისი.

წერეთელი, ა. (1988). *თხზულებანი. ლექსები, პოემები, დრამები ლექსად, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები.* შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ჯენეტო ჭანტურიამ. თბილისი: განათლება.

წერეთელი, ა. (1980). *თხზულებანი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

წერეთელი, ა. (1977). *რჩეული ორ წიგნად. წიგნი I. ლექსები, პოემები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

REFERENCES

akhali aghtkumao, uplisa chuenisa ieso krist'esi. [The New Testament of the Lord Jesus Christ]. (2009). It was printed with the blessing of His Holiness the Catholicos-Patriarch of All Georgia. Tbilisi: Patriarchate of Georgia. Alilo.

basil zarzmeli. (1987). serap'ion zarzmelis tskhovreba. [Life of Serapion Zarzmel]. In *kartuli mts'erloba [Georgian writing]. in thirty volumes.* I. Tbilisi: Nakaduli.

basili k'esarieli. (1964). *basili k'esarielis „ekusta dghetatzs“ da „k'atsisa agebulebisatzs“ [[Basil of Caesarea "For the days of Echus" and "For the construction of man"].* dzveli kartuli targmanebi [Old Georgian translations]. It was published by Ilia Abuladze, with research and a dictionary attached. Tbilisi.

betkhoshvili, d. (2010). *sik'vdil-sitsotskhlis p'roblema dzvel kartul mts'erlobashi (iak'ob khutsesis „ts'mida shushanik'is ts'ameba“, teimuraz p'irvelis „ts'ameba ketevan dedoplisa“). [The problem of life and death in ancient Georgian literature ("The Martyrdom of St. Shushanik" by Yakob Khutse, "The Martyrdom of Queen Ketevan Dedofli" by Teimuraz Perevi)].* I. Tbilisi: Universali.

betkhoshvili, d. (2012). *sik'vdil-sitsotskhlis p'roblema dzvel kartul mts'erlobashi (iak'ob khutsesis „ts'mida shushanik'is ts'ameba“, teimuraz p'irvelis „ts'ameba ketevan dedoplisa“). [The problem of life and death in ancient Georgian literature ("The Martyrdom of St. Shushanik" by Yakob Khutse, "The Martyrdom of Queen Ketevan Dedofli" by Teimuraz Perevi)].* II. Tbilisi: Universali.

bibliis leksik'oni. (masalebi). [Dictionary of the Bible (materials)]. (2000)a. I. Compilers e. Gyunashvili, Z. Kalandadze. Ed., Z. Sarjveladze. Tbilisi.

bibliis leksik'oni. (masalebi). [Dictionary of the Bible (materials)]. (2000) b. II. Compilers e-mail Gyunashvili, Z. Kalandadze. Ed., Z. Sarjveladze. Tbilisi.

giorgi merchule. (1987). grigol khantstelis tskhovreba. [Life of Grigol Khanteli]. In *kartuli mts'erloba* .[Georgian writing]. in thirty volumes. I. Tbilisi: Nakaduli.

ts'm. grigol noseli. (2006). *mamao chvenos ganmart'eba. sts'avlao lotsvisao da targmanebao „mamao chuenoisao .[Our Father's explanation. Study of the prayer and translation of "Our Father"]. Ekaterine Kiria prepared the text of the old Georgian translation for publication and added research. Edited by Ekvtime Kochlamazashvili. Georgian Academy of Sciences. K. Institute of Manuscripts named after Kekelidze.* .Tbilisi.

davit aghmashenebeli. (1993). *galobani sinanulisani. [chanting sinanulisani]. Edited by Roin Metrewell.* Tbilisi.

vakht'ang VI. (1947). *leksebi da p'oemebi. [Poems and Poems]. al. Edited by Baramidze.* Tbilisi: Metsniereba.

tvaradze, r. (1987). mkhat'vruli sit'qvit gatskhadebuli suli. shesavali [Spirit expressed in artistic terms. Introduction.]. In *kartuli mts'erloba.* [Georgian writing]. in thirty volumes. I. Tbilisi: Nakaduli.

teimuraz p'irveli. (1934). *tkhzulebata sruli k'rebuli. [Complete collection of essays]. al. Baramidze and G. Edited by Jacobia.* . Tiflis: Pederatsia.

iak'ob tsurt'aveli (1979). *ts'amebao ts'midisa shushanik'isi dedoplisao. [The Martyrdom of the Holy Queen of Shushaniki]. Tsiala Kurtsikidze prepared the text for publication, added the introductory letter and glossary..* Tbilisi.

ilia II (2011). *saaghdgomo ep'ist'ole [Easter Epistle]. Patriarchate of Georgia..* Tbilisi.

ts'm. ioane okrop'iri (1990). sinanulis shesakheb. [On regretঙ]. In *sit'qva martlisa sarts'munoebisa [The Word of Truth].* I. Tbilisi.

iovane sabanisdze. (1987). habos ts'ameba. [Torture of Habo]. In *kartuli mts'erloba [Georgian writing]. in thirty volumes.* I. Tbilisi: Nakaduli.

k'alandarishvili, e. (2011). bibliuri p'aradigmat'ik'isa da sakhismet'qvelebis taviseburebani vazha-pshavelas shemokmedebashi. [Peculiarities of biblical paradigmatics and facial expression in the works of Vazha-Pshavela]. *vazha-pshavela 150. saertashoriso simp'oziumis masalebi. lit'erat'uratmtsodneobis tanamedrove p'roblemebi. edzghvneba vazha-pshavelas dabadebidan 150-e ts'listavs [Proceedings of the international symposium. Modern problems of literary studies. dedicated to the 150th anniversary of Vazha-Pshavela's birth]..* II. Tbilisi: Publication of the Institute of Literature.

k'uk'ava, t. (1988). *eprem mtsiris iambik'oebi [ambics of Ephraim the Less].* Tbilisi.

mamata sts'avlani. [Teachings of the Fathers]. (1955). X da XI sauk'uneta khelnats'erebis mikhedvit [according to manuscripts of the 10th and 11th centuries]. ilia abuladzis gamotsema. a. shanidzis redaktsiit [Published by Ilia Abuladze. A. Edited by Shanidze]. Tbilisi: Metsniereba.

mindiashvili, a. (2003). *krist'ianul-religiuri nak'adi ak'ak'is shemokmedebashi. [Christian-religious stream in Akaki's work].* Tbilisi.

orbeliani, s. s. (1993). *leksik'oni kartuli. [Dictionary Georgian]. 2. According to the autograph lists, Ilia Abuladze prepared, researched and added a glossary of definitions. Georgian Academy of Sciences. K. Institute of Manuscripts named after Kekelidze.* Tbilisi: Merani.

orbeliani, s. s. (1991). *leksik'oni kartuli. [Dictionary Georgian]. 2. According to the autograph lists, Ilia Abuladze prepared, researched and added a glossary of definitions. Georgian Academy of Sciences. K. Institute of Manuscripts named after Kekelidze.* Tbilisi: Merani.

ts'm. svimeon akhali ghvtismet'qveli. (1990). sinanulisa da lotsvis shesakheb. [On repentance and prayer]. In *sit'qva martlisa sarts'munoebisa [The Word of Truth].* Book I. Tbilisi.

pruidze, n. (1999). *ak'ak'i ts'eretlis mkhat'vruli p'rozis p'roblemat'ik'isa da mkhat'vruli st'rukt'urisatvis .[For the problems and artistic structure of Akaki Tsereteli's artistic prose].* Tbilisi.

kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. [Explanatory dictionary of the Georgian language]. (1990). Ed. Arn. Chikobava, M. Chabashvili. Tbilisi.

ts'ereteli, a. (1988). *tkhzulebani. leksebi, p'oemebi, dramebi leksad, motkhrobebi, p'ublitsist'uri ts'erilebi, p'iradi ts'erilebi. [Essays. Poems, poems, dramas in verse, short stories, journalistic letters, personal letters]. Compiled, preface, notes, comments and glossary added by Geneto Chanturia.*. Tbilisi: Ganatleba.

ts'ereteli, a. (1980). *Tkhzulebani. [Essays].* Tbilisi: Sabchota Sakartvelo.

ts'ereteli, a. (1977). *rcheuli or ts'ignad. ts'igni I. leksebi, p'oemebi. [Selected into two books. Book I. Verses, poems].* Tbilisi: Sabchota Sakartvelo.